განკარგულება:**g-31. 31252372**
თარიღი:**25/08/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №36

2025 წლის 25 აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" , პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, 202486559 მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" (ს/კ 402157330**)** მისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოჩხათის მე-4 ქუჩის N45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული სამი ოთახი, კერძოდ 14.10 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/500) - 14,88 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/502) და 22,81 კვ.მ. (ს/კ 27.13.43.001.01/504) ფართები.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი